

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №193/ნ

2012 წლის 19 სექტემბერი

ქ. თბილისი

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივნისის №114/ნ ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### ხ. დეკანოიდე

#### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №104/ნ - ვებგვერდი, 09.08.2013 წ.

დანართი

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს მოსწავლის გადასვლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში – მობილობა).

### მუხლი 2. მობილობის უფლების მქონე პირი

მობილობის უფლება აქვს მოსწავლეს, რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დაგენილი წესით და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე.

### მუხლი 3. მობილობა

1. მოსწავლების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში.

2. მობილობა დაუშვებელია კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე, პირველი კლასის პირველი სემესტრის მიმდინარეობისას, მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას და სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის მობილობის თაობაზე.

4. ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი განათლების სამინისტროს მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა განათლების სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №104/б - ვებგვერდი, 09.08.2013 წ.

**მუხლი 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის პასუხისმგებლობა**

წინამდებარე წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი.